ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს
კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი

ერთი უცნობი მოვლენის შესახებ ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში

ადრე შუა საუკუნეების „დია" ეკლესიები

ძველი ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის შესწავლისას დღემდე კვლავ ჩნდება არა მხოლოდ ცალკეული უცნობი ძეგლები, არამედ, ახალი მასალის მოპოვებასთან ერთად საგულისხმო ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ჯგუფებად იკვრება ადრე ცნობილი მაგალითებიც. ისინი საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ და რიგ საკითხებს ახლებურად გვიხასიათებენ. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს ადრე შუა საუკუნეების ის საეკლესიო ნაგებობები ქმნის, რომლებიც, როგორც დავინახავთ, გარკვეული ნიშნით ერთიანდება და ამ პერიოდში განსხვავებული ტიპოლოგიის აღმშენებლობას გვიჩვენებს.

ზედაზნის მონასტრის ბაზილიკის უძველესი ნაწილი VI საუკუნის მცირე ეკლესიაა, რომელიც VIII საუკუნის სტრუქტურაშია ჩართული[1] (ნახ. 1).

მის უაფსიდო, დარბაზულ სივრცეში წმ. იოანე ზედაზნელის ნეშტია დაკრძალული. ამ ეკლესიის ხუროთმოძღვრება კარგა ხანია იქცევს ყურადღებას თავისი თავისებურებებით – სწორკუთხა საკურთხეველითა და ტრომპებზე დაყრდნობილი კონქით, რის გამოც იგი შესწავლილიცაა და გამოქვეყნებულიც[2] (ნახ. 2), მაგრამ ნაგებობის არქიტექტურაზე კიდევ და კიდევ დაკვირვება, ახალი ფაქტობრივი მასალის ფონზე მისი განხილვა, დღემდე უცნობი ხუროთმოძღვრულ-ისტორიული დასკვნების გამოტანის უფლებას გვაძლევს. ეკლესიის თავდაპირველი ნაწილები, როგორც ცნობილია, შერჩენილია ინტერიერში და აღმოსავლეთ ფასადზე. ჩრდილოეთის მხრიდან მას შემდგომდროინდელი გასქელება ფარავს, სამხრეთი ფასადიც ბაზილიკის კედლითაა დაფარული, დასავლეთი კედელი კი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ბაზილიკის მიშენებითაა გაუქმებული; შესაბამისად, ფიზიკურად არარსებულ დასავლეთ კედელს, ზედაზნის ადრეული ეკლესიის გამოქვეყნებისას, გრაფიკულად აღადგენენ ხოლმე. ამგვარი აღდგენა დღემდე, ცხადია, ყველაზე უეჭველია და „ქრესტომათიულად" ითვლება.



ნახ. 1. ზედაზენი

ასეთი რეკონსტრუქციის საბოლოოდ მისაღებად ვნახოთ ზედაზნის ადრეული ეკლესიის სტრუქტურა უფრო დაწვრილებით.

[1] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 101-102.

[2] Н. Г. Чубинашвили, Зедазени, Кликис-джвари, Гвиара. ქართული ხელოვნება, 7-А, თბ., 1972, გვ. 31-40.

აღმოსავლეთის მხრიდან მისი ინტერიერი, როგორც ითქვა, სწორკუთხა საკურთხეველით სრულდება. ეს უკანასკნელი დარბაზთან შედარებით ოდნავ ვიწრო, რაც მათ შორის კუთხეს, მხრებს წარმოქმნის. ძირითადი დარბაზის ზუსტად ცენტრში, მოზრდილ შეკიდულ კრონშტაინებზე დაყრდნობილი, საბჯენი თაღი გადადის. ამავე დონეზეა დასმული საკურთხეველის სატრიუმფო თაღის კაპიტელიც, საიდანაც მთელი დარბაზის სიგრძეზე, აღნიშნული კაპიტელების დონეზე, თლილი ქვის ძლიერად შეერილი თარო გადის. იგი დასავლეთის სავარაუდო კედელთან ჩერდება. თაროს მანძილი დარბაზის კაპიტელიდან საკურთხეველამდე 120 სმ-ია, ზუსტად იდენტურია ზომა კაპიტელიდან თაროს დასავლეთ კიდემდე – 120 სმ. თუ თაროს აღმოსავლეთი უკიდურესი კიდე საკურთხეველის კაპიტელს ემთხვევა და თაროს დასასრული იმავდროულად კაპიტელის დასაწყისია, საპირისპირო, დასავლეთი კიდე, ის, რომელიც 120 სმ-ს ემთხვევა და მისი უკიდურესი წერტილია – აბსოლუტურად სუფთად, თაროს კიდის მკაფიო მოხაზულობის შენარჩუნებით სრულდება. იბადება კითხვა, რა მიზეზით უნდა აიხსნას ზედაზნის უძველესი ეკლესიის დასავლეთი კიდის, კიდისა, რომელიც კედლის გაუქმება-მონგრევის შედეგად უნდა იყოს შექმნილი, ასე სუფთად და აღმოსავლეთის მონაკვეთთან



ნახ. 2. ზედაზენი. თავდაპირველი დარბაზული ეკლესია. (ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით)

მიმართებაში ზედმიწევნითი სიმეტრიით შემორჩენა; ხომ არ შეიძლება დასავლეთი კედლის ასე პირწმინდა, უნაკვალევო, „სიმეტრიის გარე" მოცულობად „გაქრობა" რაიმე სხვა მიზეზით აეხსნათ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სხვა ნაგებობები უნდა მოვიშველიოთ.

ჯავახეთში, ხერთვისიდან ახალქალაქისკენ მიმავალი მთავარი გზის მარცხნივ, დამრეც, დაუსახლებელ ფერდობზე, ნამონასტრალი მდებარეობს, რომელიც ახლომდებარე სოფლის მიხედვით „თოკის მონასტრად" მოიხსენიება[3].

მთავარი ტაძრის (ორნავიანი ბაზილიკა, XIII საუკუნისა), გალავნის, სხვა ნაფუძრების გვერდით, შემორჩენილია ძლიერ უჩვეულო მცირე დარბაზული სამლოცველო (ნახ. 3, სურ. 1). იგი ნაგებია კარგად და საშუალოდ თლილი, სწორკუთხა და ირეგულარული მოყვანილობის ქვებით; დარბაზი აღმოსავლეთიდან ძლიერ ნალისებრი აფსიდით სრულდება, ძლიერ ნალისებრია სატრიუმფო თაღიც, ასეთივეა კამარაც (საბჯენი თაღის გარეშე); მაგრამ ახლა ჩვენთვის ყველაზე არსე-

[3] მის შესახებ იხ. სერია საქართველოს მეგზური, I. დ. ბერძენიშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, ჯავახეთი, თბ., 2000, გვ. 85-86., ტაბ. 267-273.

ბითია ეკლესიის დასავლეთი მხარე – ნალისებრთაღიანი ფართო ღიობით ისე გახსნილი, რომ ეკლესია დასავლეთი კედლის უქონელ, მის ნაცვლად დიდი თაღით გახსნილ, „უ-დასავლეთ-კედლო“ ნაგებობად წარმოგვიდგება. მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით იგი IX საუკუნის შუა ხანას განეკუთვნება[4].



სურ. 1. თოკი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.
ნახ. 3. თოკი. გეგმა (ნ. ბაგრატიონისა და შ. მელიქიძის მიხედვით)

ჯავახეთშივე, სოფ. აზმანაში, ამ მხარეში ერთ-ერთი ყველაზე ძველი, VIII საუკუნის შუა ხანის[5], ძლიერ უცნაური ეკლესიაა შემონახული[6]. ორი ერთმანეთის გვერდიგვერდ მიჯრით მდგარი დარბაზული საყდრიდან ჩრდილოეთისა, შედარებით მომცრო და უკეთ გადარჩენილი, ადრინდელია, მეორე, ბევრად დიდი, ამჟამად მიწიდან 1 მ-ზე დასული – მასზე შემდგომ მიუშენებიათ[7], რითაც მომცრო ძველი ნაგებობა ახლის მინაშენისგვარ მოცულობად უქცევიათ. ადრინდელი ტაძარი



ნახ. 4. აზმანა.
ჭრილი სამხრეთით.
ნახ. შ. მელიქიძის

[4] ჯავახეთი... გვ. 85. ასევე, იხ. ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის საანგარიშო კრებული, თბ., 1997, გვ. 4.
[5] ჯავახეთი..., გვ. 105.
[6] იქვე, გვ. 104, ტაბ. 324-326.
[7] შ. მელიქიძე, ლ. ახალაია, ი. ელიზბარაშვილი, აზმანას ეკლესიის არქეოლოგიური გათხრებისა და რესტავრაციის შედეგები, ანგარიში, 2001, ხელნაწერი.

ინტერიერის მხრიდან თლილი, ხოლო ფასადები (კუთხეთა გამოკლებით) თანაბარი უთლელი ქვითაა ნაშენი. ამ ტაძრის აღმოსავლეთით მონალისებრო აფსიდით დასრულებული ძირითადი სივრცე ჯვრული კამარით გადაეფარებოდა (!), რომელიც დასავლეთისკენ თლილი ნახევარწრიული კამარით გრძელდება, კამარით, რომელიც კედლებით ოთხმხრივ არ იკვრებოდა და დასავლეთი მხრიდან ღია უნდა ყოფილიყო – სულ ახლახან აქ ჩატარებულმა გათხრებმა დასავლეთი კედლის მიწისქვეშა სარჩული – მოშანდაკების ზოლი გამოავლინა;[7] ეს ზოლი სიმბოლური ზღვარი, მშენებლობისას დასავლეთი გაბარიტის მომსაზღვრული ჩანს – მასზე კედლის ქვების წყობის არც ერთი (!) ქვა არ დაფიქსირებულა, მაშინ როცა ასეთივე სარჩულზე სხვა სამი კედელი, როგორც ითქვა, დღემდე მთელი სიმაღლითაა შემონახული.[8]



ნახ. 5. აზმანა. გეგმა.
ნახ. შ. მელიქიძის

უფრო მეტიც, ეკლესიის სამხრეთი, პილასტრებსშორისი კედელი უსწორო რიგებითაა ამოყვანილი, ამ კედელში მოჟოლილი პილასტრების სუფთად თლილი, გარე პირი კი ცხადყოფს, რომ იგი ფასადზე გადიოდა, მისი დამფარავი კედელი კი მერმინდელია და ე.ი. თავდაპირველად ეკლესია სამხრეთიდანაც თაღით იყო გახსნილი.

ამგვარად, აზმანას ეკლესიის რეკონსტრუქციისას ჩნდება ჯვრული კამარით გადახურული, აღმოსავლეთიდან აფსიდით დასრულებული, აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე დაგრძელებული სივრცე, რომელიც დასავლეთიდან და სამხრეთიდან დიდი თაღებითაა გამჭოლი (ნახ. 6). ამით იგი უახლოვდება თოკის მონასტრის ძველ სამლოცველოს, იმ განსხვავებით, რომ თოკის „უდასავლეთკედლობას" აზმანაში სამხრეთი მხარის ღიაობაც ემატება.

ამგვარად, როგორც აზმანისა და თოკის მონასტრის ტაძრები გვიჩვენებენ, არსებობს ეკლესიები, რომლებიც მსგავსი ნიშნებით ერთიანდებიან. ეს ნიშნებია:

ა) მცირე გაბარიტები;

ბ) დასავლეთი (ზოგჯერ სამხრეთი) მხრიდან გახსნილობა;

რა ფუნქცია შეიძლებოდა ჰქონოდათ ამ ნაგებობებს?

გათხრების შედეგად აზმანას ეკლესიის ინტერიერში, მოშანდაკების ზემოთ ნახსენები ზოლის წინ, შესასვლელთან, კლდეში ნაკვეთი ერთადერთი სამარხი გამოვლინდა, მაშინ როდესაც ეკლესიის ეზოში, ნაგებობებთან მიჯრით, საფლავთა დიდი რაოდენობა აღმოჩნდა[9].

---

[7] შ. მელიქიძე და სხვ., დას. ნაშრომი.

[8] ეს ეკლესია გვიანა ხანაში დასავლეთიდან ტლანქი მინაშენით დაუგრძელებიათ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ კედელი მისი მშენებლობისას დაანგრიეს, მაგრამ ასე პირწმინდად, „ქირურგიულად" ყველა ქვის „გაქრობა" და მხოლოდ მოშანდაკების სუფთად დატოვება ამ უსახური მშენებლობისას ძნელი დასაჯერებელია.

[9] შ. მელიქიძე და სხვ., დას. ნაშრომი.

შეიძლება ეს მიგვანიშნებდეს, რომ ტაძარში წმინდანი ან სარწმუნოებისთვის მნიშვნელოვანი პირია დასაფლავებული და ტაძარი „საფლავსა ზედა ეკლესიაა“? თოკის მონასტრის ნაგებობაც იმდენად მცირეა, მასში დიდი რაოდენობით მრევლისა თუ ღმრთისმსახურთა ყოფნა წარმოუდგენელია – 2, 3 კაცი აქ მთელ ფართობს იჭერს. თუმცა იგი არასდროს გათხრილა, ხომ არ შეიძლება ისიც



ნახ. 6. აზმანა. რეკონსტრუქცია.
ნახ. შ. მელიქიძის

ვისიმე საფლავის კულტს დაუკავშიროთ და მემორიული დანიშნულებით ავხსნათ მისი უცნაურობა?

თუ ამ მსჯელობას მართებულად მივიჩნევთ, იგი კიდევ უფრო განმტკიცდება ოდნავ შემდგომი ხანის ერთი მაგალითით. ურავლის აგარის მონასტერში, მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას უთლელი ქვით ამოყვანილ მაღალ კრიპტაზე (!) აღმართული თლილი ქვის, XIII საუკუნის აფსიდიანი სამლოცველო[10],



ნახ. 7. სურ. 2. ურავლის აგარა. „ღია“ ეკლესიის გეგმა და დასავლეთის კედელი.
ნახ. გ. მარსაგიშვილის

[10] გ. მარსაგიშვილი, ურავლის აგარის მონასტრის ხუროთმოძღვრება. ავტორეფერატი დისერტაციისა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997, გვ. 18.

რომელიც დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან დიდი თაღებითაა ღია, რითაც აზმანას ეკლესიას ენათესავება. (ნახ. 7, სურ. 2).

ამგვარად, „გახსნილი" ეკლესიები ადრეულ ხანაში არსებულ არქიტექტურულ ტრადიციას უნდა გვიჩვენებდნენ, რომელიც ოდნავ მოგვიანებითაც (XIII-XIV საუკუნემდე მაინც) ყოფილა გავრცელებული. თუ ზემოთქმულის მერე ზედაზნის წმ. იოანე ზედაზნელის საფლავის ეკლესიას მივუბრუნდებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი გრძივი კედლების კამარისძირა თარო იმ სახითვეა ჩვენამდე მოღწეული, როგორც VI საუკუნეში იყო. შესაბამისად, ეს ეკლესიაც დასავლეთიდან კედლით კი არა, გამჭოლი თაღით იქნებოდა დასრულებული (ნახ. 8).

ასეთი ტიპის ეკლესიებზე მსჯელობისას აუცილებლად აღსანიშნია ადრექრისტიანული ხანის კიდევ ორი დარბაზული ტაძარი – მეტად უცნაური და დიდად დაკავშირებული ზემოჩამოთვლილ ნიმუშებთან. ერთ-ერთი მათგანი უჯარმის ჯვარპატიოსნის მცირე დარბაზული ეკლესიაა, რომელიც XIV საუკუნეში მეორე სართულად დაშენებული სამლოცველოს ქვეშ დღემდეა შემონახული (ნახ. 9)[11], იგი კარგად თლილი ქვითაა ნაგები და სტილისტური ნიშნებით IV თუ V საუკუნით თარიღდება[12]. ამ მომცრო ეკლესიის აფსიდიან სივრცეში ჩრდილოეთის კარიდან



ნახ. 8. ზედაზენი. რეკონსტრუქცია.
ნახ. შ. მელიქიძის

შევდივართ, მის მოპირდაპირე სამხრეთ კედელზე კი გარეთ გამავალი დიდი თაღია ამოყვანილი. ეკლესიის ადრეულობას მეტყველებს ამ თაღის ნაწილობრივ დამფარავი „უჯარმული" წყობის ბურჯის არსებობა, რომელიც, თავადვე ადრეული, ეკლესიის მშენებლობის ზედა ზღვარს V საუკუნის ბოლოთი უნდა განსაზღვრავდეს (ნახ. 10).

მეორე მაგალითი ასევე ადრეული ხანის, V საუკუნეში აგებული, მცხეთის ანტიოქიაა – თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია, რომელსაც დასავლეთიდან მოგვიანებით ორსართულიანი კარიბჭე მიაშენეს. ძირითადი სივრცის სამხრეთის

[11] ი. ციციშვილი, უჯარმა, თბ., 1982, გვ. 33-42.
[12] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 516, შენ. 1.
[13] მ. ბულია, მ. ჯანჯალია, დ. ხოშტარია და სხვ., საქართველოს ძველი ქალაქები. მცხეთა, თბ., 2000, გვ. 81.



ნახ. 9. უჯარმა. გეგმა
(ნ. ხუბინაშვილის მიხედვით)



ნახ.10. უჯარმა. რეკონსტრუქცია.
ნახ. შ. შელიქიძის

მხარეს კედლის ნაცვლად აქაც ბერჯ ზე დაყრდნობილი ორი დიდი თაღია ამოყვანილი (მოგვიანებით იგი აგურისა და ქვის წყობის კედლით ამოუშენებიათ)[13] (ნახ. 11).

ძნელია უჯარმისა და მცხეთის ანტიოქიის შემთხვევაში ამ ღია ეკლესიების წმინდანთა საფლავებთან დაკავშირებულ „მემორიულობაზე" ვისაუბროთ, მაგრამ ამ მხრივ – „გახსნილი" ეკლესიების საფლავთან შესაძლო კავშირზე მსჯელობისას მრავლისმეტყველია ნეკრესის IV საუკუნის ბაზილიკა, რომელიც კრიპტაზე დგას და, როგორც ცნობილია, ყველა მხრიდან თაღებითაა დაცხრილული[14] (ნახ. 12). დასავლეთიდან, მცირე ქარაფის მხრიდან, საიდანაც მისასვლელი არასდროს ყოფილა, ღია თაღების არსებობა ცხადყოფს, რომ ისინი მხოლოდ „შესასვლელ-გამოსასვლელი" ფუნქციისა არაა და წირვის დროს გარეთ მყოფთა რაღაცაგვარ თანადასწრებას ითვალისწინებს. ზემოხამოთვლილ ეკლესიებთან ერთად ნეკრე-



ნახ. 11. მცხეთა. ანტიოქია. გეგმა.
რეკონსტრუქცია
(დ. ხოშტარიას მიხედვით)

[14] Г. Н. Чубинашвили. დას. ნაშრომი, გვ. 85-45.

სის განხილვა გვიჩვენებს მისი „გახსნილობის“ არა გამონაკლისობას ქართულ ხუროთმოძღვრებაში, არამედ გარკვეულ ტრადიციასთან მის მჭიდრო კავშირსა და ორგანულობას.

ამგვარად, როგორც ირკვევა, ჩნდება მთელი ჯგუფი ეკლესიებისა, რომლებიც ძირითადად ადრეულ ხანას მიეკუთვნება[15] და მათი უმრავლესობა შეიძლება მემორიებს თუ „საფლავსა ზედა“ ეკლესიებს წარმოადგენდნენ, რომლებშიც ღმრთისმსახურის მიერ წმინდანის (ან ეგებ ჩვეულებრივი გარდაცვლილის) მოსახსენებელი ლოცვა აღევლინებოდა, გარეთ კი მლოცველები იდგნენ, რაც განსაზღვრავდა კიდეც შენობის როგორც ზომებს, ისე დიდი თაღებით გახსნილობასაც.[16]



ნახ.12. ნეკრესის ბაზილიკა. გეგმა (ვ. ცინცაძის მიხედვით)

აქვე უნდა გავიხსენოთ ჭერემის კვადრატი, ოთხივე მხრიდან თაღებიანი მცირე ნაგებობა, რომლის ქვეშაც კრიპტაა მოწყობილი[17] (ნახ. 13).

რას შეიძლება დავუკავშიროთ ნაგებობათა ეს ჯგუფი?

მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაში ამგვარი ნაგებობების უშუალო პარალელი არ მოგვეპოვება. მათ ზოგად სტრუქტურას მხოლოდ მიაგავს თავისი კამაროვნებითა და ერთი მხრიდან გახსნილობით ტიგროსის აუზში მიკვლეული ნაგებობები[18]. დასავლეთი კედლის გარეშეა აპამეას დიდი ეკლესიაც[19], აგრეთვე ბოსრას ბაჰირას ეკლესია, რომელიც დიდი ზომისაა (მხოლოდ დასავლეთი ღიობის სიგანე დაახ. 11 მ-ია), იქვეა მცირე ეკლესია „ბაჰირას სახლად“ წოდებული – აფსიდა მხრებით, დასავლეთი ნაწილის გარეშე[20].

არის მსგავსი ნაგებობა სომხეთშიც, კასახის ბაზილიკას ჩრდილოეთიდან მიშენებული მოცულობა – აფსიდა გრძივი კედლებით, დასავლეთი კედლის გარეშე[21].

---

[15] შესაძლოა მრავლისმეტყველი იყოს ტანას ხეობაში, სიონის დიდი ტაძრის დასავლეთით, 0,5 კმ-ზე, გზისპირას შემონახული მცირე დარბაზული ეკლესიის გახსენებაც. იგი ქარაფის პირას აშენებულ კრიპტაზეა აღმართული. ამ ძალზე მცირე ზომის ეკლესიას ჩრდილოეთის კარი და სამხრეთის ხვეისკენ მიმართული ღიობი ასევე „ღიად“ აქცევს. ეკლესიის გამთხრელი, გ. აბრამიშვილი მას მართებულად ათარიღებს ადრეული ხანით, IV საუკუნით. იხ. გ. აბრამიშვილი, ატენში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის XII სამეცნიერო სესიის მასალები, 1989, სექტემბერი.

[16] აქ უნდა გავიხსენოთ რაჭაში, სოფ. ზემო ბარის „ჭბოს მთავარანგელოზის“ ეკლესიაც - მცირე დარბაზული საყდარი სწორკუთხა საკურთხეველითა და დასავლეთის სამი კარით, რითაც მისი მოკლე კედელი ერთიანად „დაცხრილულ-გახსნილი“ გამოდის. ეკლესიის განხილული ჯგუფისადმი მიკუთვნებას დამატებითი კვლევა ესაჭირება (მაგ., სასურველი იქნებოდა გათხრა დასავლეთის მხრიდან, რათა დაგვედგინა, ხომ არ ფარავდა ეკლესიას მინაშენი) (სურ. 3).

[17] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. გვ. 207-208.

[18] A. Palmer, Monc and Mason on the Tigris frontier, Cambridge, 1990, ტაბ. 33-36.

[19] L' eglise a' atrium de la Grande Colonade, Jacoeline Vapoleone-Lamaine, Jean Ch. Balty, Bruxelles, 1969.

[20] Die Provincia arabia, von Rudolf Brunnow und A. Domaszewski, Strasburg, Bd.3, 1909.

[21] Н. Токарский, Архитектура Армении, Ер., 1961, გვ. 76.



ნახ. 13. ჭერემის კვადრატი.
გეგმა და ფასადი (ვ. ცინცაძის მიხედვით)



სურ. 3. ზემო ბარი.
ეკლესიის დასავლეთი კედელი

ამ მაგალითების არსებობის მიუხედავად, თანამედროვე საჩელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში ასეთი ეკლესიები ცალკე ჯგუფად დღემდე არაა გამოყოფილი, რაც აძნელებს კონკრეტულ მიმართებებზე საფუძვლიან მსჯელობას. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი ეკლესიების ინტერპრეტაციისათვის რესაფას კომპლექსში არსებული, შენობების რიგში ჩართული „უ-დასავლეთ-კედლო", ღია საკურთხეველია, რომელშიც, როგორც ამ ცნობილი საპილიგრიმო კომპლექსის გამთხრელი, ულბერტ ტილო მიუთითებს, წმინდა სერგის მოხსენიების დღეს მის ნეშტს დაასვენებდნენ ხოლმე, რადგან შენობის წინ, გარეთ მდგომთ საშუალება ჰქონოდათ პატივი მიეგოთ წმინდა ნაწილებისათვის[22] და მაინც, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მთავარი იმპულსი ამგვარი – აფსიდიანი, ღია, მარტირიუმებისა თუ გარდაცვლილთა კულტთან დაკავშირებული ნაგებობების შექმნისას?

იერუსალიმში, IV საუკუნეში, კონსტანტინე იმპერატორმა უფლის საფლავზე სვეტებითა და თაღებით ყველა მხრიდან გახსნილი როტონდა ააგო. ცენტრში, საფლავსა ზედა, კუბიკულა აღმართა[23].

ამ უკანასკნელის სარწმუნო რეკონსტრუქციით, კლდეში ნაკვეთ საფლავზე აღმართულ მოცულობას, წინ ღია აფსიდა ჰქონდა, რომელიც გარეთ, მიმსვლელებისკენ იყო მიქცეული – იგი ანგელოზის ქვაზე გამოცხადების ადგილსა და აღდგომის ნიშნად აკლდამის გადაცურებული კარის ადგილს აღნიშნავდა. მასში ტრაპეზი იყო გამართული[24] (ნახ. 14). ამ ნაგებობის V საუკუნის ქვის ერთ-ერთ მოდელზე აფსიდა ღია ბალდახინით გრძელდება და ჩვენი ეკლესიებივით ორქანობად გვირგვინდება[25] (სურ. 4). ქართული ეკლესიები, საფიქრებელია, სწორედ უფლის საფლავის ნაგებობას უკავ-

[22] Syrien, von den Aposteln zu den Kalifen, wissenschaftliche Leitung und Redaktion Erwin M. Ruprechtsbergerss, 1999.

[23] Martin Biddle, The Tomb of Christ, 1999.

[24] Martin Biddle, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-20.

[25] Martin Biddle, დასახ. ნაშრომი, 1999, გვ. 21; იხ. წინამდებარე ჟურნალის გვ. 61, ნახ. 3-4.



ნახ. 14. უფლის საფლავის კონსტანტინე იმპერატორისეული ედიკულა. გეგმა (მ ბიდლეს მიხედვით)

სურ. 4. უფლის საფლავის ედიკულის მოდელი ნარბონიდან. V საუკუნე

შირდებიან, მისი ძირითადი სტრუქტურა – წმინდა საფლავზე აღმართული აფსიდიანი გამჭოლი მოცულობა – უნდა ქცეულიყო ქართველ ხუროთმოძღვართათვის იკონოგრაფიულ და შემოქმედებით იმპულსად ზემომოტანილი ეკლესიების მშენებლობისას.

Resume

Nicoloz Vacheishvili

On One Unknown Phenomenon of Georgian Ecclesiastical Architecture

The article is focused on a group of the 6th-13th cc. small (presumably memorial), Georgian churches, one or two walls of which are open by arches.